

F 24  
1888



# ს ი მ ა ტ რ ი

საქონელ კეირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1888 წელსა

№ 19

თიბგათვეს 5.

გაზეთი დირს: ქრისტ. წლ. 5 მ., ნახ. წლ. 3 მ., ცალგე ნომ. 15 პ.  
ნ ელის მოწერა მიღება: თბილისში, რედაქტ. კანტორაში. ფოთში  
ბესალ. კალანდაძესთან. ადრესი გარეშე მცხოვრებთა თვის:  
თიფლის, ვტ რედაქციი გაზეთი „TEATRЪ.“ გაზეთი ისუა დება:  
თბილისში ხარვეზის წიგნის შალაზიაში; და ბ-ნ ხიდდევლითან—გო-  
ლოვინის პირსკერტზე.

საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენცია) გარკვევით  
უნდა იყოს დაწერილი. თუ საქიროება მოითხოვს წერილებს რედაქცია  
შესაწყირებას. რედაქცია არა კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და  
მათ შესახებ მიწერ მოწერას.

უკვე წერილში უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და სა-  
ცხოვრებელი ადგილი დაწერილა.

თბილისი, 5 ივნისს.

„Печально я гляжу на наше поколение.“

ბატ. გარეთ-ყოფილის „ფიქტმა და შენიშვნამ“, რომე-  
ლიც ამის წინად „ივერიაში“ იყო დამტკიცილი (№ 100) მკი-  
თხევლების ყურადღება მიიქცია და ასე გასინჯეთ, ალიაქო-  
თიც კი ასტეხა საზოგადოებაში და მწერლობაში. მიზეზი  
ცხადია: ბატ. გარეთ-ყოფილი ბჭობდა ასეთს საგულისმიერო  
საგანზედ, როგორც ჩვენის ახალთა აბის აწინდელი მდგომა-  
რეობაა და მოდი თავიდამ აიცილე „ფიქტი და შენიშვნა“ ამ  
საგანზედ, მოდი და გული ძვერას ნუ დაგიწყებს, ენას ნუ  
გაანძრევ, თავს ნუ შეიწუხებ, როცა ჩვენი გედი და უბედო-  
ბა ახალ თაობაზე და არის დამოკიდებული!

შეელას კარგად ესმის რა დიდი გაელენა აქეს ახალს  
თაობას ცხოვრების სელასა და მიმდინარეობაზედ. მს სელა  
და მიმდინარეობა მხოლოდ მაშინ არის სიხეირო და სასარ-  
გებლო, იყი მაშინ ადგია მარჯვეს და პირ-და-პ რს გზას, რო-

ცა ახალი თაობა მხნე და მოღვაწეა, შემკული სხვა-და-სხვა საჭირო ღირსებებითა... მრისა და საზოგადოების სეე-ბედი, მისი წარმატება და ბედნიერი მერმისი მთლად დამოკიდებულია ახალ-თაობის აე-კარგიანობაზედ. ჩვენის ხალხის გენიოსობამ პირველადვე შეიგნო და დიდის ასოებით გულის ფუცარზედ ამრასჭრა ეს მარტივი, მაგრამ ღრმა ჰეშმარიტება — „ისა სჯობს მამულისათვის, რომ შეიღი სჯობდეს მამასა“...

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი წარსული და მეტადრე აწ-  
მყო ცხოვრება ცხადად გვიჩვენებს, რომ ხშირად „მამა სჯო-  
ბნებია შეიღისა“ და ამიტომაც საზოგადოების წარმატება ეყრ  
წარმართულა ხეირიანად. სამწუხარო და სავალალოა ამგვარი  
გარემოება. ამიტომაც ვისაც კი გული შესტკივა თა-  
ვისი სამშობლოს წარმატებისათვის, იგი მთელის თავის  
ძალ-ღონით უნდა ებრძოდეს წარმატების შემაფერხებელ  
მიწეზსა და გარემოებას. ხალხის წარმატებისათვის საჭი-  
როა ბრძოლა, ხოლო ბრძოლა მუდმივი, მეღვარი, აზრიანი...  
შეელა თაობის და კერძოდ ახალის თაობის ღირსებაც იმითი  
გაიზომება თუ რამოდენად და რანაირად იბრძვის, იღ-  
ვწის თავის ქვეყნის წარმატების დასამყარებლად.

ჩვენდა სამწუხაროდ, აწინდელი ქართველი ახალი თაო-  
ბა მოკლებულია ძალ-ღონეს წარმატების ველზედ საბრძოლ-  
ველად. აბა კვალში ჩაუდექით ამ თაობას და დაკვირდით  
იმის ყოფა-ცხოვრებას: თქეენ შეკარავთ მისი არა რაობა,  
ცრიელი ჩხავილი და უმეცრების ამაყობა! საკირველი კადევ  
ის არის, რომ რაც ღრია და ფაში მიღის, ახალი თაობა უგრივ  
წერილმანდება, სუსტდება. პირველ ხანებში ახალ გაზდა ქარ-  
თველს ცოტად მაინც ეტყობა ნიშან-წყალი, სიტყვით მაინც  
„კაცობს“, თუ საქმით არა. მაგრამ თან და თან სიტყვიერი  
ძალადებაც ხელიდამ ეცლება და გუშინდელი თქვენი თავ-  
მოწონებული გმირი და ვაჟკაცი, რამდენიმე წლის შემდეგ,  
კისერს იხრის ცხოვრების ულლის ქვეშ!... მხლა თუ სადმე  
ძალ-ღონეა — ისევ ძველ-თაობაშია.

იქნება ეს დასკვნა ახალ-თაობის თავის სათაკილო იყოს,  
მაგრამ ასე კია. პილეთ ძველი თაობა, რომელიც ასპარეზზედ

გამოვიდა 60 წლებში, შეაღარეთ, როგორც და რაშიც გნებათ აწინდელს ახალგაზღობას და დარწმუნდებით, რომ ჩენ ცილს არაეს ცწამებთ... აბა ერთი ისეთი სფერა მიჩვენეთ, საცა ახალგაზღობას პირველი ადგილი ეჭიროს! სადაც კი მიიხედათ, მეთაურობა ისევ ძევლების ხელშია, ისევ ისინი სდებენ შნოს და ლაზათს ჩენს ზლაზნით მოსიარულე ცხოვრებას. წარმატების დროშა ჯერ ისევ ძევლებს უჭირავთ და, როგორც ნიშნებითა სჩანს, კიდევ დიდხანს იქნება იმათ ხელში. ასე გასინჯეთ, თვით უმცირესი ძევლი მოღვაწე თვალსაჩინოა უკეთეს ახალგაზღა მოღვაწესთან შედარებით, თუ სწავლა-ცოდნით არა, ხასიათის სიმტკიცითა და ენერგიით მაინც.... და როცა ამ ძეველ—ახალ თაობის ხროვაში ტრიალებ, სევდა გაწვება გულზედ რამ და რისთვის დააუსტა ეს ძრიელ ეს ახალი თაობაო...

**ზეიპასუხებენ:** საქმე არც ისეა, როგორც ამბობთო: თუ ახალი თაობა სუსტი გვონითა, ამის მიზეზი ის არის, რომ ცხოვრება გამოიცავა, და უფრო ბევრს ძალ-ღონეს თხოულობს, დიდს სწავლა-განათლებასა, თვით ცხოვრების საგანიცა, რომელსაც ახალი თაობა ხელსა ჰყიდებს, სხვა შრომასა და ჯაფას ნდომულობსო... მარგი და პატიოსანი, მაგრამ საქმე ამაშია, რომ ახალმა თაობამ აქამიმდე ახალი არა შეიტანა-რა ცხოვრებაში, არც ერთი ახალი საგანი ცხოვრებისა არ გამოიძებნა. საზოგადოებრივი აზრი და მიმართულება იმავე კელში სდება, რომელიც ძევლებმა გაავლეს ცხოვრების ველსა, არც აზრს და არც მიმართულებას ძევლ კვალისათვის არ აუცემენა. მართალს თუ ვიტყვით, ჯერაც ისევ ახალი თაობა ძევლს შესცემრის, მის სკოლაში იწერონება, მის გაკეცილების ისმენს. აბა, რაში და რით გამოიჩინა ახალმა თაობამ ახალი მოღვაწეობა, მოძღვრება, ახალი შემოქმედობითი ძალა? სამწუხაროდ, არაფერში და არაფრით!...

წარმატებაც მაშინ არის, როცა ახალ თაობას ახალი ძალა და ცოდნა, ახალი განათლება შეაქებს ცხოვრებაში, როცა ახალის თაობის წყალობითა და მეოხებით ცხოვრება ახლდება, თორემ ცარიელი სახელი ახალის თაობით რა საუკარია,

რა აღდვომის წითელი კეერცხია! საყალალო და საუბედუროა, რომ ახალმა თაობამ თაეცი საკუთარი ახალი კვალი და შიმართულება ვერ გაავლო ჩენებს ცხოვრებას. მთელს ჩენებს ცხოვრებაში ისეთი სახეირო და სასარჯებლო საქმე არ მომზდარა, რომელიც ახალ თაობას ეტე როოს, დაეწყოს, გასძლოლოდეს; ყოველთვის საზოგადო საქმე ძევლებს უკისრნიათ, და მხოლოდ მერე ახლებიც მიშევლებან... მს იმიტომ, რომ ახალი თაობა თაოსნობას მოკლებულია, სხვის შაცქერალია,—რასაც დაინახავს და სხვები უჩენებენ, მხოლოდ იმას გააკეთებს, საკუთარს საქმეზედ ხელი არ მიუწვდება და არც იმოდენი შემოქმედებითი ძალა აქვს—საკუთარი რამე გააჩინოს.

რასაცირკელია, ეს სამწუხარო ამბავი დამოკიდებულია ზოგიერთა ისეთს გარემოებაზედ, რომლის თაეიდამ აცილება ყოვლად შეუქლებელია ახალის თაობისათვის. საზოგადოებისა და კერძო კაცის წარმატება დამოკიდებულია, გარეგან გარემოებების გარდა. საკუთარს ძალაზედაც. ძალა იმის კაცია, რომ თვით მომქმედი არსებაა, თუ ეს ასეა, მაში დღიდი ბრალი უნდა დაედოს თვით ახალთაობას, რომელიც უმეტეს ნაწილად, თითონვე არის მიზეზი თეისის უძლურებისა, სისუსტისა. დროა ახალ თაობამ ჭკუა მოკრიბოს, თვითიდამ აიკილოს სათაყილო, მაგრამ სამართლიანი საყვედური.

## ახალი ამბები

29 მასს იქ წლიური გრება ქართველთა შორის წერა კათების გამარტინულებელი საზოგადოებისა. გრებამ განსცენებული დამიტრი ივანეს ძე ყიფანი, პირებული თავ-მჭდომარე საზოგადოებისა, რომელსაც დადა სამსახური მიუწვდის „საზოგადოების“ წანაშე, მოიხსენია და დადგინა სამშობლის წერილი გაეგზონთ განსტანებულის ოფასობას. ამის გარდა დაადგინა განსცენებულის სურა და კიდოს საზოგადოების განცელებაში.

ამ კრებაზე დიდი ბაასი გამოიწვია ბათუმის სკოლის საჭირო. შემდგრა ერთ-ხმად დაადგანეს ეს სკოლა არ და გატანი, მით უფრო, რომ ბათუმის და ეს სკოლა უფრო თანა-გ მნობას და მეტს შემწეობას უნდა ვიღრე წინა დ. ამ კრებაზე საზოგადოების თავ-მჭდომარედ ერთ-ხმად ამო-რჩეულ იქმნა თ. დღია ჭავჭავაძე. გამგეობის წევრებად: ა) ს. ზ. ცხვერაძე. ბ) ქ. ა. მ. ოუმანიშვილისა, გ) ი. ს. გოგებაშვილი, დ) გრ. ვალესკი, ე) გა. რ. გაბაშვილისა, ჩ) ა. მ. ჭერიას, ზ) ა. ბ. ჭიჭიაძე, ტ) თ. დ. ა. ფავოლენიშვილი, თ) ნ. თ. ხი-ზანაშვილი, ი) თ. ა. გ. მაჩბელი, ია) ე. ს. თაურიშვილი და იბ) ს. მირიანაშვილი.

გარეთ იქნებოდა ბ. კოლეგანსევის უურადღება მიქეტია ცხენ-სავალის კონფერენციებისათვის. ამ გაერთობის თავ-გასულ ქრისტ ადარა აქვს სამზღვარი. მანდილოსანს არ ჩაეჭდომება კა-გრაში ამათგან უწმაწური დაპარაკის და ქცევის გამო.

თბილისის სასუნკრო სასწევლებელი დღეს საზაფხულოდ სურამში გდადის.

წელს მოსკოვის უნივერსიტეტში შეასრულეს სწავლა, სა-ფილოლიო ფაქულტეტზე: სასანაშვილმა, გახილე და გარსევანი-შვილმა; იურიდიულისა —წერელმა; სამათემათიკო—ლორთქიავა-ნიმე. ბ.ბ-ია გრეკანოვს და შეტრიაშვილსაც წელს უნდა შექსრუ-ლებინათ, მართა ამათკა დაუმოვიდებელი მაზეზების გამო რამ-დენიმე წლით დაუკანდებათ.

შპრასკეს ვ თიბათებს შესდგა გამოსათხოვი ბენეფისი არტი-სტრიქალი მ. მ. ლეონიძისა. დანამდებლი იურ წარმოსადგენიათ დრამა „ცოლი-მუსიკა“. მართა ბედერულაძის როლს მობეკეფისე ასრულებდა. ბ. ჯავახანაშვილი გიორგის როლში ცოტა არ იყოს უძლიდა პაქსის მიმდინარეობას, მაგრამ საფაროვის და ასაშიძის დახმარებელმა თამაშობაში დატებო საზოგადოება. მ. მ. ლეონიძისამ, მეოთხე მოქმედებაში, დამსწრე საზოგადოება გულ ამოსებნით ატირა.

ამ წარმოდგენაშ ერთხელ გადეს დაგმოტებიცა, რო მ. მ. ლეონიძისა ნიჭიერი არტისტი-ქალია. სამწუსაროა, ის ფაქტი რომ მ. მ. ლეონიძისა სამუდამოდ გამოეთხოვა სცენას. დადი სანი გავა რომ იმის მაგიერობა კერავინ გაუწიოს ჩვენს სცენას.

როგორც ბ.ბ.-ნთ მეტთხელებს მოეხსენებათ მაისის წელ-დიდობაშ დიდი ზარალი მისცა რეიის ბრძოლებლებს. გუშინ, 4 ივნისს საზაფხულო თეატრში იყო დანიშნული წარმოდგენა რომლის შემთხვევაშიც გარდაეცემა წეალისაგან დაზარალებულ მცხოვრებლებს.

თან ივნისს საქალებო ინსტრუმენტი წაკითხულ იქმნა წლიური აქტი. ამ აქტიდამ სხანს, რომ ოთხმა ქართველმა ქალმა შეასრულა სწავლა და ამათში ერთმა მართამ დადიანი სამ, მიღება კერც სდი ს მედალი.

ამ დღეებში ჩექნ მივიღეთ ასლად გამოსული წიგნი „მარინე“, ისტორიული მთხოვობა ქართველთ ცხოვრებიდამ, გ. გუნიას მა-ერ გადმოჰყეთებული. წიგნი სუვთად არის გამოცემული. მთელი წიგნი შეიცავს 130 გვერდს და ღიას ექვსი შაური, მთხოვობაში ბატონი-შვილი აღექსანრეს დრო არის გამოუვანილი.

ამ დღეებში ბ-ნს მონასტრიცებს უნახავს წიგნების სკოლა და მაფიან მოსწონება.

კვირას, 12 თბილებეს, გორში ასალი თეატრი გაიხსნება. ამ დღისათვის მიწვეულნი არიან ქართული თეატრის არტისტები. წარმოდგენილი იქნება ა. ფრანლის „ციმბირელი.“

გამომძიებელს სთავარებეს, რომელმაც მიღიმანოვის სახლს ცირხლი მოუკიდა, ქატორდაში გაგზავნა გადაწევიტეს რვა წლის გადაწევიტეს რვა წლის გადაწევიტეს.

## გ პ ვ დ რ ი ს თ ი თ ი

(შარლ-დაგეს ნამბობი, ფრანგულით).

ზოორგობის თეის ნახევარი იყო, ციფი ქარი ჰქონდა. ბრეტანის პატარა სოფელს შერცესში ყველას ქოხის კარგბი მოეხურა; აქა-იქ მოჩანდა მკრთალი შუქი, რომელიც ძლივ-ძლივობით არღვევდა ლამის წყვდიადს. მიუყებული იყო ყველაფერი მოდუდუნ ზღვის გარდა, რომლის ხმაურობაც მოგაგონებდათ შეკვარებულის ოხერას. ხან-და-ხან ყურ-მახვილს კაცს შეეძლო მოეკრა ყური კურლისების მწუხარე წიგილი-სათვის. ამ წიგილზე იტყვიან ხოლმე თკეანის ნაპირას მცხოვრებლები, რომ ეს ქარიშხალის წინამორბედი ფრინველები იხვეწებიან ზღვაზე მოგზაურებისთვის ილოცეთო.

ამ ლაშეს ყველა კერის წინ მიცვალებულს გრაფ ვილ-რესაკის ცოლზე ლაპარაკობდენ. თორმეტის საათის მკედარი და შერდის საათის დამარხული იყო საწყალი კეთილი და ქვე-ლი ქალი, ყველანი სწუხდენ, ტიროდენ და ინანებდენ იმას-შველაზე შეტად კი სალაპარაკოდ ჰქონდათ ის გაურცელებუ-ლი ხმა, ეითომ გრაფის ცოლს ანდერძად დაეგდოს, რომ ყველა სამკაულები, რაც ჯვარის წერაზე ჰქონდა გაკეთებუ-ლი, თან ჩაეტანებინათ საფლავში.

მშმაკი არ გაუშევბს შემთხვევას, სადაც კი უნდა იყენეს, რომ არაეს ეთამაშოს. ამ სოფელშიაც ასე მოხდა. როცა ყველანი სწუხდენ და ინანებდენ მიცვალებულს, გამოჩნდა ერთი, რომელიც ამ ნაირად სჯიდა:

— ნუთუ უკეთესი არ იქნებოდა, რომ ის სამკაულები ეანდერძებინა საწყლებისათვის და არ წაელო იქ, სადაც ისი-ნი საჭირონი არ არიან.

ამბობდენ აგრეთვე, რომ მიცვალებული ფეხ-მძიმედ იყოეთ, მაგრამ ეს ნამდევილად არ იცოდენ.

სოფლითგან მოშორებით ერთის ვერსის მანძილზე შა-ვად ამართული იყო სასახლე. დიდკაცის სადგურშიაც დღის ხმაურობა დამტკრალიყო. მარი საათი იქნებოდა, რაც ახლო-

შახლოთგან მოსული სტუმრები წასულიყვენ თავთავიანთა.  
მაგრამ ზოგი ერთნი კიდევ დარჩენილიყვენ: ნათესავები და  
შორითგან მოსულები. ამიტომაც იქ სიცოცხლე ჯერ სრუ-  
ლებით არ შეჩერებულიყო.

საწყალი მიცვალებული, იმ დროს თავის სავანეში გა-  
ყინული, სასახლეში რო დაბრუნებულიყო, დაინახავდა სა-  
სადილო ოთახში გაშლილს სუფრას, ამთებულს ჭაღებს და  
გაჩაღებულს ბუხრა, რომლის სინათლეზეც ლაპლაპებდა  
ბჟყერილა ეერცხლის ჭურჭელი და სპეტაკი თეოტრეულობა.  
მალი დარწმუნდებოდა, რომ ის სრულებით დაეციწყათ, თუმ-  
ცა დადიხანი არ იყო, რაც მან დასტოეა სახლი და, რასა-  
კვირეელია, ჯერ არაფერი იყო რა შეცვლილი სამცხედრო  
ოთახში.

მაგრამ ეინ დაბრუნებულია თავის სახლის სანახავად, რა-  
კი ერთხელ ჩაუსვენებიათ საგანგებოდ მისთვის გათხრილს  
მაწაში!

ამ დროს ერთს გამარტოებულს სოფლის ბოლოს მდე-  
ბარე ქოხში, ერთი ორმოციოდე წლის კაცი, კერის წინ  
მჯდომარე, შეპყურებდა აკურგურებულს ცეცხლს. უცბად  
წამოდგა, ოთახში აქეთ-იქით მიდგა-მოდგა, მერმე გამოალო  
საკუჭნაოს კარი. იქ მოძებნა კვერი, საშალი და საჭრეთელი,  
რომლებიც ჯიბეში ჩაიდო; ბარი ხელში დაიჭირა, დაიხურა  
ქუდი და ის იყო გრძეთ აპირობდა გასეყლას.

— სად მიხვალ? ჰყითხა ცოლმა, რამელიც ბავშვებს  
აწვენდა.

ჩანგალი უნდა დაკავო! მიუკო მან.

მართლაცა და თავის ბარეს მიუმატა რამდენიმე პალო,  
რომლებსაც მეთევზები ხმარაბენ ჩანგლების დასამაგრებლად  
ქეიშიანს ნაპირზე, როცა ზღვა მიქცეულია ხოლმე. მერმე  
აანთო პატარა ფარანი, წუმწუმები უბეში ჩაიდო და გავიდა  
გრძეთ. პარის ანჯამებმა ჭრაჭუნი მოიღეს; კაცმა მიიხედ-  
მოიხედა, ხომ არავინ არის ქუჩაშიო, და შემდეგ გასწია.

წავიდა ზღვისკენ, რომელსაც მიქცევის გამო ცარიელი  
დაეტოვებინა ნაპირის კარგა ფართო აღავი. ხუთასიოდე ნა-

ბიჯის გავლის შემდეგ შეჩერდა. მეოშაში პალოები დაიჩვი, თითქმ სეინიდისის გასაწმენდადაო; მცრე გაემართა სოფლის მეორე ბოლოსაკენ. რაცა მიეიღა უმთავრესის საყდრისკენ მიმავალის ქუჩია თავში, სახლებს ააგლ-ჩავლო თვალი. თითქმის უკელვან გამჭრალი იყო სანათი.

— მაი დროა! თქვა თავის თავად.

უქ-აკრეფით გასწია საყდრისკენ, რომლის გვერდზედაც სასაფლაო იყო. ზადაიარა სასაფლაოს დაბალს გალავანზედ და მიეიდა იმ სამარხთან, სადაც დასცენებული იყო გრაფ ვალ-რესაკის ცოლი. ვალ-რესაკართ სამარხი ერთად ერთი ძეგლი იყო სოფლის პატარა სასაფლაოზე. იქ ინახებოდა სულ სამი კუბო: ვალ-რესაკის მამისა, დედისა და მის ახალგაზდა ცოლისა, რომელიც იმ დღის დასცენებული იყო იქა.

იქ კაცი, რომელიც ხელაბით მესაფლავე იყო, შეაღო სამარხის კრა, შეეიდა შიგ და იავე მოხურა კარი. იმის წინ სამი კუბო იდა. რჩი პირველი დაბეჭდილი იყო უკანასკნელი კი ჯერ კიდევ აზ დაებეჭდათ. პანთო ფარანი და დადგა მაღლა გადებულს ფიცარჩე. ზერჩვინები ძირს გადმოალავა და შეუდგა კუბოს ახდას. სახურავი ვინტებით იყო დაკრული, მარავ თავის იარალის შემწეობით მესაფლავემ მალე მოხადა.

ქვედარი თეორია სუდარაში იყო გახვეული და თავი ატ-ლასის ბალიშზე ჰქონდა დაცვენებული. სუდარას რო შეეხო, მეტაფლავეს ერუანტელმა გაურბინა მთელს სხეულში. მრთს წამს შექმნდა. სუდარა რომ გადახადა, დაინახა მკედარი, რომლის სახეზე ერთი ლურჯი ლაქაც არა ჩანდა.

ხელები გულზე დაკრეფილი ჰქონდა. მაცს ევონებოდა სძინაესო. მის თითზე ბჟყერალებდენ ნიშნის და ზურმუხტ-ბრილანტის ბეჭდები, მაჯაზე გაკეთებული ჰქონდა სამაჯური. ამ მაცთურის სამკაულების დანახეოთ გატაცებულმა კაცმა მოიპოვა გულ-გრილობა და მივარდა მკედრის ხელს, რომ ბეჭდები წაეძრო.

რის ვა-ვაგლახით წაძრო ზურმუხტის ბეჭდი, მაგრამ

რჩუნის ბეჭდის წაძრობა კი ვერაფრით მოახერხა, თუმცა თი-  
თიც კი სახსრითგან ამოაგდო. ამ დაბრკოლებამ უფრო გაა-  
ფთრა და ბრაზზე მოიყვანა კაცი.

— შე ხომ სიგიჯე იქნება ისე წაეიდე, რომ არაფერი წა-  
ვიღო რა!

პილო ფარანი და ზედ გვამზე დადგა. ჰიბითგან ამოი-  
ლო დანა, რომ მოეჭრა ის თითი, რომელიც არ ანებებდა ბე-  
ჭებდს. რაც ძალი და ღოანე ჰქონდა დანა დააჭირა თითს  
პირველის სახსრის ახლო. ხორცი ძლიერ იქნებოდა გაქრილი,  
რომ საშინელი კიეილი მოისმა.

ამ კიეილთან ქურდმა დაინახა, რომ გვამმაც წამოიწია.  
თავზარდაცემულმა და გულგახეთქილმა დანა და ფარანი გა-  
აგდო მიწაზე და გავარდა სამართლითგან უფრო ფერწასული.  
ვიდრე თვით მკვდარი, რომლის გასაცარცვადაც მივიღა.

სასაფლაოს პატარა გალაერზე გადახტა და გაემართა  
ზლეისკენ სოფლის დიდის ქუჩით. ნუთუ ეს მოჩეკენება იყო?  
მას ეგონა მკვდარი მომდევსო. თუმცა ციფი ქარი ჰქონდა,  
ის გრძნობდა რომ თმები საფეთქლებზე დაჰკრობოდა ყინუ-  
ლიერთ ციფის ოფლით.

რაც უნდა გადაწყვეტილი ჰქონდეს კაცს უხილაესა და  
ადამიანურს სამართალთან შექიდება, მაინც მაზე ღრმად მო-  
ქმედობს ყოველივე, რაც ზედაბუნებრიობას მიაგას. მესა-  
ფლავე მივიღა საფლავის შესარყევად, მკვდრის გასაქურდავად,  
და ნახა რომ მკვდარი წამოდგა მის წინაშე. იქნება მკვდრის  
გვამს ერთის წამით სული ჩაედგა იმიტომ, რომ ქურდი დაე-  
საჯა!

დიდხანს გარბოდა რიცხვზე უკზო-უკველოდ. შემდეგ, რო-  
ცა ცოტ-ცოტად გონს მოვიდა, იგი შეიპყრო უხილაესის სა-  
მართლის შიშა კი არა, რადგან მოჩეკენება აღარ მისდევედა,  
არამედ ადამიანთ სამართლისამ, რომელიც უკველია გაიგე-  
ბდა მის დანაშაულობას. შეუძლებელია კაცი გაექცეს უხი-  
ლაეს სამართალს, რომელიც ღვთის სამართალა; ის უკველგან  
მიეწევა მას. პირიქით ხანდახან აიცილებენ ხოლმე ადამიანთა

სამართალს ან გაქცევით, ან ცბილობით. ამ გრძნობაში მყოფი დაბრუნდა შინ. ბავშვებს ეძინათ, მარტო ცოლს ეღვიძა, თითქმის სრულიად გამტრალის მაყალის წინ მჯდომარეს.

— რა დაგმართვია, ჰკითხა ცოლმა სახლში შესულს ქმარს.

ამ მოულოდნელს კითხვაზე კაცი უფრო გალურჯდა. მგონა დაგილუპეო. როგორლაც თავის უნებურად მიუახლოედა კედელზე მიკრულს სარკის ნაჭერს და შიგ ჩაიხედა. თავის თავისა შეეშინდა.

— მციცა, წამოილულლულა მან, დაანთე ცეცხლი! სკამ-ზე ისე დაეცა, თითქოს რამე ნიერი დავარდაო.

ზაშტერებული უცქეროდა ნახშირებს, რომლებსაც ცე-ცხლი ედებოდა და თან ყური კარებისაკენ ეჭირა, ხომ არა-ვინ შემოვეაო.

(დასასრული შემდეგ №-ში).

გარეთ-ცოლილის ფიჩნი და შეიცვენა.

(გაზ. „იგერია“ № 100 1888 წ.) \*)

## II

უმთავრესი ბრალი, რომელსაც ბატონი 6. გ—ლი სდეს ჩვენს ასაღს თაობას, არის დედა-აზრის უქონლობა. ამ დედა-აზრის უქონლობითგან გამოწეულ ტეგა მრავალი ნაკლებებისა, მაგ. ის, რომ ასაღმა თაობამ რუსული ენა და ლიტერატურა არ იცის, რომ რუსულს უუწნალებს და წიგნებს არ კითხულობს, რომ მარტო ქართულს ჩასციდა, რომ უგზო-უკელოდ დაეხერება ეპრო-ბაში, რომ უკალას სოფელში ერკება, რომ უუწნალი კურ დაუკ-სება, რომ კრიტიკულება კურ წამოუშობა.

\*) ეს საკითხავი დიდ მნიშვნელოვანია, ამიხაოვის თემცა პევრში არ ვეთანხმებით პ-ნს კ—შვილს მაგრავ მაინც ადგილს ვაძლევთ ამ წერილის. ჩვენი აზრი ამ საკითხავის შესახებ მოწინავე წერილშია გამოიწმები.

ერთს წეტს წამოვიდგინოთ, რომ ბ. ნ. გ—ლი მართალია, როცა ამბობს, რომ ახალს თაობას არარაიმე დედა-აზრი არ აქვს. თუ მართლა ჩეკი ახალი თაობას ნაერთია თერგ-დალეულების თაობისა, როგორ მოხდა, რომ კარგმა ხემ ავი ნაერთი მოიცა? როგორ მოხდა, რომ თერგ-დალეულების თაობამ, ნათელის აზრით შეჭრილია, წმინდის სიკერძოლით საკემ, სინდისით უმნიკომ, აზარდა ასე სამაგელი და საზიზღარი თაობა? საიდგანა ჩანს თერგ-დალეულების გამარჯვება, თუ კი მათი შვილები ისეთივე დაციმულები გამოვადეს, როგორნიც მათი მამები იყენენ. რატომ თერგ-დალეულების თაობამ ისეთივე გავლენა არ იქნია ახალს თაობაზე, როგორც რესის განათლებულმა საზოგადოებამ თერგ-დალეულები? სხვა რა უანდერძეს ახალს თაობას, თუ დედა-აზრიც არა? ან რამ დაკარგვინა ახალს თაობას ეს ნაანდერძევი დედა-აზრი? ამითხანა გითხვებს ბევრს მიკცემდით ბ. გარეთ-ერთიანს, შაგრამ შრომა ტეუფერ იქნება. ის უთავბოლოდ სტრახვს ახალს თაობას; კერ შეუგნია გერც თერგ-დალეულების სიკეთის მიზეზი, კერც ახალის თაობის დაკარდნილობისა. კერება კავრი მოსკლია და ახალს თაობას ურტევას მოუზრუბდად, მიზეზების გამოუგვევლად, საგნის შეუსწავლელად.

მაგრამ ვინა თქვა, რომ ახალს თაობას დედა-აზრი არა აქვთ? ამას ამბობს მარტო გარეთ ერთიანი, რომელიც იქნება გუშინდელს აქეთ იმუალება ჩეკი შორის. რატომ ერთი საბუთი, ერთი დამამტკიცებელი მაგალითი არ გვიჩვენა ჩეკის ახალის თაობის უაზრობისა და უსაპირობისა? მე რომ მკითხოთ, ვიტევი, რომ ახალს თაობას დედა აზრი აქს და ძალიან ნათელი და შატითხანი დედა აზრიც, თუმცა ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ ახალის თაობის ქმაუთვიან გაუგო. გაცს რომ რამე ნაგლულევანების შენიშვნა და გამედავნება უნდოდეს, მართალიც როდი უნდა დაკარგდეს.

აი რას მოგვითხოვთ ბ. ნ. გ—ლი:

„აღავს გარეგიტ, გაიგალები და მოეზო დღე და ღამე რომ ელაპარაკო ჩეკის ახალს თაობას, კერ გაიგებ რა სწადან, რა ჭისურს და რა საგანი აქს ცხოვრება ში. ლაპარაკოსს ბალდივით

აბდა-უბდას: სკოლიდამ გადასტება თქატრზე, თეატრიდამ გაზეთზე, გაზეთიდამ ბანკის საქმეზე, ბანკიდამ ქრისტელის თევად აზნაურობაზე, აქედამ ხენასა და ოქსაზე, ძროხსასა და ცხვაზედ და ღორზედ; სიტუაცით თუ საჭმით, მსწარაფლად დაასხებს უურნალგაზეთს, ააშენებს სახლებს, გააპრაფლებს ბროსასა და ღორს, მაგრამ რა ეშმაკად უნდა ეოგელი ეს სულიერი თუ უსულო, ეს მარტო ღმერთმა იცის.<sup>4</sup> ნერა კა კაცოდე რა ბალდობას სკოლაზე, თქატრზე, ბანკზე და სხვებზე დაპარავა? ან იქნება საღლობად ის მიაჩნდა გარეთ-უაფილს, რომ ახალი თაობა ერთ-ერთის მაგიერ ბევრს, გამოსდგრომია? კარის გონიერისთვის და მის საღის ჭეკურისათვის იმაზე აგვილი და გონიერული არა არის რა, როგორც სკოლითგან თქატრზე გადასვლა, თევად-აზნაურების ბანკითგან თავად აზნაურობაზე, ხენა-თესვაზე და ძროხებსა და ღორებზე. ამ საგნებს ერთმანერთთან ისეთი მშედრო კაშირი აქთ, რომელსაც მარტო გარეთ-უაფილი თუ კერ შენიშვნას.

„რა ეშმაკად უნდა ეოგელი ეს სულიერი და უსულო, ეს მარტო ღმერთმა იცისო,“ ამბობს ბ. ნ. გ—ღი, თუმცა თითონაც და ჩვენც კარგად ვაცილ რათაც უნდა. მაგრამ ან იქნება მართლა არც კა იცოდეს (აჩარა გვაკერის რა ამ წუთი-სოფელში!) თითონ, ამიტომ ჩვენ სერიუმით, რომ უოგელი ეს სულიერი და უსულო იმად არის საჭირო, რომ უიმოროდ შეუძლებელია რომლისამე ერის არსებობა.

„მე კერძოს და ამიტომაც მეშინიან, ვწესვარ, რომ მომაყლი ახალი თაობა ჭეკითა და გრძნობით სულ უნაყოფელ იქნება, რადგან იმისი აღმზდელი ახალი თაობა თავის ჭეკით და ზნეობითის ცხოვრებით იგივეა, როგორც თერგ-დაღეულების მახლობელი მამა-პაპა იყო,“ ამბობს ბ. ნ. გ—ღი. ბე გარეთ-უაფილი გამოიტვამს იმ აზრს, რომ ერთი თაობა შასუნის მგებელია მეორე თაობის ღირსებისა. თუ ასეა, რატომ თერგ-დაღეულების არ სწერების იმის გამო, რომ ასეთი საზიზღარი თაობა გამოზარდა, როგორც ასლანდელია? წევდის მაკვირ აქებს და ადიდებს. აი კი დე რას ამბობს ბ. გარეთ-უაფილი:

„იქნება საიდგანმე მზემ გადმოგენედოს და მომავალი თაობა

განანათლოს, ააუკანს და ამნაორად დაბადოს ჩვენს ქვეყანაში ახა-  
ლი თერგ-დაღულები. ეს ძრიელ შესაძლებელია და სანატორიუმი  
არის... აქ პ. ნ. გ—ლი გამოთქვამს იმ აზრს, რომ გარეშე  
შიძეზეს, შეუძლიან გავლენა იქნითის ერთის თაობის მიმართუ-  
ლებაზე. მაში თუ ასეა, რატომ არ გვიჩვენებს რა „მზემ“ გახსადა ასე-  
თი საზიზღარი ახლანდებდა თაობა? გარეშე მიზეზის ჩვენების მა-  
გიერ ღანძღაცს და ათრევს ახალს თაობას.

### III

პ. ნ. გ—ლს აუკინა, რომ „ჩვენი ახალი თაობა უაზროა,  
უსაგნოა და ამიტომ არ იცის, რას უნდა დაბრაუჭოს ხელით,  
ფეხით, სელითა და სორცით“ საიდგანა ჩანს ახალის თაობის უა-  
ზრობა და უსაგნობა? იქიდგან თურმე ჯერ ერთი, რომ იმან უცხო  
ენები კარგად არ იცის. ერთი დაუგვდოთ უური, რას ამისას:  
„იქნება გეგმონის, მკითხველი, რომ იგი (ახალი თაობა) უცხო  
ენის კარგი მცოდნეა? მე არ მოგიგვდე! ამტკრებს რადა საშინელის  
გამოთქმითა და კილოთი, იმისთვის მთელის უცხო ენის სიმდი-  
დრეს სუთ-ასიოდე სიტუა შეადგენს და ამ სიტუაცის სმარტის,  
როგორც თავისი უცოდინარი ჭიშა უჭრის; იმის დაპარაკში უცხო  
ენა ჭიარგაც თავის სიმდიდრეს, ხალხის ჭიშას, ხასიათს და გა-  
მოდის რაღაც უშნო, უდაზათო და უმარილო ენა.“ თუ ეს ესეა,  
იქნება ახალი თაობა სამშობლო ენას უკათესად ეკიდებოდეს? არც  
სამშობლო ენას თურმე, რადგან „უბედუნს ქართული ენა უფრო  
ძლაბით და სამასხარ ენად მიაჩნია.“ ეს სომ ესე ერთიანია,  
მა-  
გრამ ჩვენი ახალი თაობა (შესქედეთ მის უაზრობას!) „მარტო  
ჩეკნების ქართულს ღარიბს, ახლად ფეხ-ადგმულს ღირერატურას“  
ჩასციდება და „უურადღებოდ სტრუქტურული რესულს უკრნალებს და  
წიგნებს.“

საკვირველია, ღმერთმანი, ასე აბდა-უბდად როგორ ღაპარა-  
ჟობს ხოლმე ხან-და ხან კაცი! უაზრობისა და უსაგნობის დანახვა  
იმაში, რომ ახალი თაობა უცხო ენას „საშინელის გამოთქმითა  
და კილოთი“ ღაპარაკობს, რის ბრალი უნდა იყვეს თუ არ იმავე  
უაზრობისა და უგუნურებისა? ან რა ჭიშაში მოსასკლელია ის  
აზრი, რომ კითომ ჩვენი ახალი თაობა, რომელსაც თურმე „ქარ-

თუდი ენა უფრო მდაბიც და სამასხარო ენად მასწია, „ „მარტო ჩემის ქართულს ღარის, ასლად ფეხ-აღგმულს დატერატურას“ ჩასციქმოდეს?

სადის თაობის უზრობა და უსაგნობა თურმე კიდევ აი საიდგანა ჩანს: „ჩემი ასალი თაობა უკედას სოფელში ერეკება: იქ წადით, იქ, იქ არის ჩემი იმედით. მათა სწამთ და ესეც ჭე-დაგობენ, რომ მამული შვილისათვის, მამულის მუდამ მზურუნველი-სათვის, ორითდე დღიური მიწა საქმათა, რომ მასზედ ხნას, სოფ-სოს, თოსნოს და თავისის ვანით და ოფლით დღე-დღეური დუ-კმა იმოვნოს და ამ გერად თავი გამოიგებოსა.“ დას, ოღან-დაც რომ დიდი უზრობა და უსაგნობა ქალაქებში განცხომით და უნაყოფოდ ცხოვრების მაგიერ სოფელში წასვლა, ოფლითა და მრთმით ცხოვრება, ხალხში მეცნიერებლის მიწა-მოქმედების გავ-რცელება, რაციონალის მეურნეობის გამართვა, სოფლის ცხოვრე-ბის გამოეცველება და მის სასიცეთოდ შეცვლა! რასაკერძელია, ქა-დაქმის ბუღარებუზე სჭირია სიარული და კითომ მაღალ-მაღალის აზრების რახა-რესი! მას ბ. ნ. გ—ლი ისტორიულის მაგალითი-თაც გვიმტკიცებს.

„ჩემის ასალის თაობისთვის მოულის რუსეთის შესანიშნავ აზრის მოძრაობას სულ ფეხია ჩაუკლია და ამ შესანიშნავ ისტო-რიულ მაგალითიდამ კერათერი სარგებლობა კერ გამოუტანია“... აქ ბ. ნ. გ—ლი კერ ასეთებს დაწერილებით მოგვითხროს, რა შესანიშნავი მაგალითი იყო ეს მაგალითი. ტეუილად ადარებს ერთს მეორეს, მსგავსება ძალიან ცოტაა. იქ სხვა მიზანი იყო, აქ სხვა; იქ სხვა ხალხი იყო, აქ სხვა; იქ სხვა გარემოება იყო, აქ სხვა.

შესანიშნავს სიბრძნეს შეიცემ ბ. ნ. გ—ლის შემდგენ სი-ტექნიკი: „როდესაც მოულის ასალს თაობას აზრი არა აქვს, გინდ შეტერმურგში გაგზავნე, გინდ შარიუსა, გინდ ბერლინში, კერსაი-დამ კერათერის სარგებლობას კერ გამოიტანს. არა, თუ რუსეთის ჭეკუმ, ზნებამ, მწერლისამ და მოულის რუსეთის ტენის მოძრა-ობამ ჩემის ასალის თაობისთვის უნაყოფოდ ჩაიარა, რა გავლენა შეუძლიან მოახდინოს მაზედ პარიიისა და ბერლინის ცხოვრებამ, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ჩემის ხალხის ცხოვრე-

ნახთან. ის არის უშიორატესი და აუცილებლად შესაძენი, რასაც  
შენზედ და შენის ტესტის ცხოვრებზედ მუდმივი გავლენა აქვს,  
რაზედაც არის დამოკიდებული შენი ბედი და უბედობა.“

ამას ამბობს გარეთ-უთვილი, რომელსაც კერ შეუგნია, რომ  
უთვილენსარის ტვინის მოძრაობის ამშეღელი და წამმართველი იგო-  
გე შარიფი და ბერლინია. თუ ამ ქადაქებში მაღას ვაჩმე, იმიტომ  
მიდის, რომელაც თვით უსევთითგან ასეთის სიმრავლით მიღწევი-  
ს ასაღის თუ ძებლის თაობის წარმომადგრები. არა, ბატონი,  
დღეს შარიფსა და ბერლინს უფრო მეტი გადაენა და გავშირო აქეს,  
ვიდრე რომელსამე ახდო-მასლო ქადაქეს, ქვეყნის. ას სასელემწი-  
ოფას. მე ვდაპარაკობ გონინის, ტვინის გავლენას, რომელსაც  
ეჭვმდებარება სხვა უთვილენსარი გავლენა.

ასეთი ბალოური (შეიძლება თექვას ბლიაძურიც) და თან თავ-  
გამოიდებული წერილი, როგორც ბ. 6. გ—ლის მოთხოვბა: „ჩვენს  
ქართულს დარიძს, ახლად ფეხ-ადგმულს მწერლობაშია“ კი იმ-  
კიათად შეგასვერთა. უსაფუძლოდ რასა-რუსი, უშინაშეელო რისი-  
მე ერას რამე შესანიშნავდ გადაჲცემა, უღოვიკობა ამ წერილის  
შესამწევი თვისებანი არიან. ამის მიუხედავდ ბევრმა სერიოზად  
წაიკითხა ეს წერილი და განვებ თვალი აარიდა მართლა რომ ბალ-  
ლურს აბდა-უბდა-გადასკუბდებს, რის ბრალია ესა? იმისა რომ ამ  
უშესებულს წერილში აქა იქა შენიშნულია რამდენამე ნაკლება-  
ვნება, რომელიც კვლას ნაგრძნობი და შეგნებული გვაქს.

ბ. 6. გ—ლის წერილში ჩვენ გამოგევიდეთ მარტო იმას,  
რაც უსაფუძლო და უგუნერი დანძლევა-თრევა იყო. დარჩა კადეც  
გასარევი, რამოდენად სამართლიანია თერგ დალექლების ისეთი  
ქება-დიდება და რამდენად შესანდობელია არიან ასაღის თაობის-  
თვის ზოგიერთი ნამდვილი ნაკლებულებანიანია.

დ. კ—შვილი.

რედაქტორი და გამოცემელი. ალ. ნებისმიერი.